

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
 - 1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.
 - 1.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
 - 1.3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
2. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:
 - 2.1. ანთროპოლოგია (1 ვაკანსია - პროფესორი)
 - 2.2. ფიზიკა (1 ვაკანსია - პროფესორი)
 - 2.3. საკონსტიტუციო სამართალი (1 ვაკანსია-ასოცირებული პროფესორი)
 - 2.4. ფილოსოფია (1 ვაკანსია- ასოცირებული პროფესორი)
 - 2.5. სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია (1 ვაკანსია-ასოცირებული პროფესორი)
3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2017 წლის 11 აგვისტოდან - 2017 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით.**
4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
 - 4.1. ბიოგრაფია (CV);
 - 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
 - 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
 - 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
 - 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
 - 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.me/71832741318456>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2017 წლის 18 აგვისტოდან - 2017 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2017 წლის 23 აგვისტოდან - 2017 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით**.

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 3 წლის ვადით.

9. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსი
ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge